

1961/2



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები



№ 23 (146)

20 აგვისტო

1961 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები**

### ბანყოფილება პირველი

- 347. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შორის სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის შესახებ.
- 348. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სომხეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის აღდგენაში რეჟიმის ბოროტ დამარღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ.
- 349. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოლდავეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის აღდგენაში რეჟიმის ბოროტ დამარღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ.
- 350. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ან. გ. ვ. ენუტინის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

### ბანყოფილება მეორე

- 351. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საკავშირო სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტის „ტრანსელექტრომონტაჟის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 352. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტრესტ „მოსელექტროტიავსტროს“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 353. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ბ. ს. სტეჩკინისათვის სოციალისტური შრომის გამირის წოდების მინიჭების შესახებ.

8522

354. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რკინიგზების ელექტრიფიკაციის მონაწილე-მშენებელთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
355. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა მფრინავი კოსმონავტ მაიორ ვ. ს. ტიტოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
356. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მფრინავ მაიორ ვ. ს. ტიტოვისათვის „სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის“ წოდების მინიჭების შესახებ.
357. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. მ. ჯირმუნსკის შრომის წითელი ღროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
358. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედა“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
359. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.
360. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვარ ა. მ. გერასიმოვის შრომის წითელი ღროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

### განყოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

## საქართველოს სსრ პანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

361. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლი) გარდაქმნის შესახებ.
362. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. ე. მ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
363. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის გაუქმების შესახებ.
364. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.
365. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. გ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
366. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ადოგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების გაერთიანების შესახებ.
367. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონების გაერთიანების შესახებ.



- 368. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ი. ი. ღარიბაშვილის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
- 369. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ო. ა. ქავთარაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.
- 370. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
- 371. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. თ. პ. ბუაჩიძის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

**ბანყოფილება მიორე**

- 372. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 373. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 374. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
- 375. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

**347** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და რუმი-  
ნეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველ-  
ყოფის დარგში თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ განავითარონ და გააღრმავონ მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე სახელმწიფოს შორის აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის დარგში, გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — **გ. ე. ჩებოტარიოვი**, სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში,

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა — **ოქტავიან ბერლოჯა**, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო წესრიგსა და ჯეროვან ფორმაში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

ნაწილი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ეს შეთანხმება ვრცელდება მოქალაქეთა ყველა სახეობის სოციალური უზრუნველყოფაზე, რომლებიც დადგენილია ან დადგენილ იქნება შეთანხმების დამდებ მხარეთა კანონმდებლობით.

2. სოციალური უზრუნველყოფა გულისხმობს ყველა სახეობის უზრუნველყოფას (ფულად და ნატურით), რომლებიც ეძლევათ მოქალაქეებს ავადმყოფობის შემთხვევაში, ორსულობისა და მშობიარობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის გამო, აგრეთვე ოჯახის მარჩენალის დაკარგვის გამო და სხვა შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებულია შეთანხმების დამდებ მხარეთა კანონმდებლობით.

შეთანხმების დამდები ერთი მხარის მოქალაქენი და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე სოციალური უზრუნველყოფისა და შრომითი ურთიერთობის ყველა საკითხში მთლიანად გაუთანაბრდებიან შეთანხმების დამდებ ამ მხარის მოქალაქეებს.

### ნაწილი მეორე სოციალური უზრუნველყოფის განხორციელება

#### მუხლი 3

1. სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების დროს გამოიყენება შეთანხმების დამდები იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს მოქალაქე, თუ ამ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სოციალურ უზრუნველყოფას გასცემენ შეთანხმების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს მოქალაქე, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა სოციალური უზრუნველყოფის მიღების შესახებ, თუ ამ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

#### მუხლი 4

1. პენსიებისა და დახმარების დანიშვნის დროს მთლიანად ჩაითვლება შრომის სტაჟი და პერიოდი მისი თანაბარი სხვა საქმიანობისა, მათ შორის პენსიების შეღავათიან პირობებში და შეღავათიანი ოდენობის მისაღები სტაჟი, რომელიც შეძენილია შეთანხმების დამდები ორივე მხარის ტერიტორიაზე და რომელიც დამოწმებულია შეთანხმების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომლის ტერიტორიაზე იქნა შექმნილი სტაჟი.

2. სტაჟის გამოანგარიშება შეთანხმების დამდებ თითოეულ მხარეში მუშაობის დროისათვის წარმოებს შეთანხმების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მუშაობა ან მასთან გათანაბრებული საქმიანობა.

#### მუხლი 5

1. პენსიებს ნიშნავენ და იხდიან შეთანხმების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე პენსიის დასანიშნავად მიმართვის დღისათვის მუდმივად ცხოვრობს მოქალაქე, რომელსაც პენსიის დანიშვნის უფლება აქვს, და შეთანხმების დამდები ამ მხარის კანონმდებლობით.

2. თუ პენსიონერი შეთანხმების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან გადასახლდა შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, მაშინ სოციალური უზრუნველყოფის ორგანო, რომელიც პენსიას იხდიდა, შეწყვეტს პენ-

სის გადახდას იმ თვის დამთავრებიდან, როცა მოხდა გადასახლება. შეთანხმების დამდები მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე გადასახლდა პენსიონერი, გადასახლების შემდეგ აძლევს პენსიონერს პენსიას თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობით, დაწყებული იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მოსდევს თვეს, როცა მოხდა გადასახლება. პენსიის უფლება არ გადაისინჯება იმ შემთხვევებში, როცა შეთანხმების დამდები ამ მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთივე სახის პენსიას.

3. თუ გადასახლებული პენსიონერი დაბრუნდა შეთანხმების დამდები იმ მხარის ტერიტორიაზე, რომელზედაც იგი თავდაპირველად ცხოვრობდა, შეთანხმების დამდები ამ მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანო განახლებს პენსიის გადახდას იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მოსდევს თვეს, როცა მოხდა დაბრუნება.

4. შეთანხმების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე გადასახლებულ და გადასახლების შემდეგ მომუშავე მოქალაქეებს პენსიები და დახმარებები გამოეანგარიშებათ საშუალო თვიური ხელფასიდან (საშუალო სატარიფო განაკვეთი), შეთანხმების დამდები იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზე ისინი გადასახლდნენ.

შეთანხმების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე გადასახლებულ მოქალაქეებს, რომლებსაც გადასახლების შემდეგ არ უმუშავიათ, პენსიები და დახმარებები გამოეანგარიშებათ იმის კვალობაზე, თუ რა საშუალო თვიური ხელფასი (საშუალო სატარიფო განაკვეთი) აქვს პენსიის ან დახმარების დანიშვნის დროისათვის შესაბამისი კვალიფიკაციისა და ანალოგიური მოსაქმეობის მუშაკს იმ ქვეყანაში, სადაც ისინი გადასახლდნენ.

## მუხლი 6

1. დახმარებებს დროებითი შრომისუუნარობის გამო, ბავშვების შესანახავად და აღსაზრდელად, ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვის დაბადებისათვის ნიშნავენ და იხდიან შეთანხმების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს მოქალაქე, შეთანხმების დამდები ამ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში თუ მოქალაქე, რომელიც დახმარებას იღებს, შეთანხმების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან გადასახლდა შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, დახმარების გადახდა წყდება გადასახლების დღიდან. ამ შემთხვევაში შეთანხმების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე მოქალაქე გადასახლდა, ნიშნავენ დახმარებას თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 7

შეთანხმების დამდები ერთი მხარის მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, შეთანხმების

დამდები ამ მხარის კომპეტენტური ორგანოები გაუწევენ საჭირო დახმარებას და უზრუნველყოფას, თუ ისინი ამას საჭიროებენ, იმავე მოცულობითა და იმავე პირობებში, როგორც თავის მოქალაქეებს.

### მუხლი 8

1. შეთანხმების დამდები ერთი მხარის მოქალაქეებს, რომლებიც შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, გაეწევათ სამედიცინო მომსახურება საკუთარი მოქალაქეებისათვის დაწესებულ პირობებში.

2. შეთანხმების დამდები ერთი მხარის მოქალაქეთა შეთანხმების დამდები მეორე მხარის სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ გაგზავნის პირობებს აწესრიგებენ განსაკუთრებული შეთანხმებებით.

### მუხლი 9

მთელ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ შეთანხმების თანახმად სოციალური უზრუნველყოფის განხორციელებასთან, ეწევა შეთანხმების დამდები მხარე, რომელიც იძლევა უზრუნველყოფას, და ურთიერთანგარიშსწორება შეთანხმების დამდებ მხარეთა შორის არ წარმოებს.

### მუხლი 10

1. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიურ, საკონსულო, სავაჭრო წარმომადგენლობათა და სხვა დაწესებულებათა იმ მუშაკების სოციალური უზრუნველყოფა, რომლებიც სხვა სახელმწიფოში იმყოფებიან, წარმოებს გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობით და მისი კომპეტენტური ორგანოების მიერ, თუ აღნიშნული თანამშრომლები ამ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. იგივე წესი გამოიყენება მაშინ, როცა ხორციელდება ხსენებულ დაწესებულებათა მუშაკებთან დასაქმებულ მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური უზრუნველყოფა, თუ ისინი მათი გამგზავნი ქვეყნის მოქალაქეები არიან.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების მიმართ მოქმედებს ამ შეთანხმების 8 მუხლის დებულებანი.

3. პერსონალური პენსიები, რომლებიც დაინიშნება განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გადახდილ იქნება შეთანხმების დამდები იმ მხარის მიერ, რომელიც დანიშნავს მათ.

### მუხლი 11

განცხადებები და სხვა საბუთები, რომლებიც შეტანილი იყო კანონით დადგენილ ვადაში შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარის კომპეტენტურ ორგანოებში და დაწესებულებებში, აგრეთვე თავის დროზე შეტანილად ჩაითვლება შეთანხმების დამდები მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოებში და დაწესებულებებში.

ამ შემთხვევაში საბუთები დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს შეთანხმების დამდები მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოს.



მუხლი 12

1. შეთანხმების დამდები მხარეები ითანამშრომლებენ სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების ყველა საკითხში.

ამ მიზნით შეთანხმების დამდები მხარეების ცენტრალური დაწესებულებები და ორგანოები, რომლებიც კომპეტენტური არიან განახორციელონ სოციალური უზრუნველყოფა, აწარმოებენ გამოცდილების გაზიარებას:

- ა) სპეციალური ლიტერატურისა და პერიოდულ გამოცემათა გაცვლის გზით;
- ბ) შრომის კანონმდებლობის საკითხებზე პუბლიკაციების გაცვლის გზით;
- გ) სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა შედეგებზე ინფორმაციის გაცვლის გზით.

2. შეთანხმების დამდები მხარეების ცენტრალური კომპეტენტური დაწესებულებები და ორგანოები ინფორმაციას მიაწვდიან ერთმანეთს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობისა და მისი შემდგომი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 13

1. შეთანხმების დამდები ერთი მხარის კომპეტენტური ორგანოები და დაწესებულებები მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების დროს შეთანხმების დამდები მეორე მხარის ორგანოებსა და დაწესებულებებს უფასოდ გაუწევენ სამართლებრივ დახმარებას იმავე მოცულობით როგორც სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების დროს საკუთარ სახელმწიფოში.

აღნიშნული ორგანოები ერთმანეთს მიაწვდიან საჭირო ინფორმაციას იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პენსიებისა და დახმარების დანიშვნისათვის, აგრეთვე განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ამ გარემოებათა დასადგენად.

2. საბუთები, რომლებიც შეთანხმების დამდები ერთი მხარის ტერიტორიაზე გაცემული იყო დადგენილი ფორმით ან დამოწმებული შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, მიიღება შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე ლეგალიზაციის გარეშე.

3. დოკუმენტები და საარქივო მასალები, რომლებიც ამ შეთანხმების შესაბამისად საჭიროა პენსიებისა და დახმარების დასანიშნავად, მიწოდებულ იქნება შეთანხმების დამდები მეორე მხარის სოციალური უზრუნველყოფის კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით.

მუხლი 14

შეთანხმების დამდები ერთი მხარის კონსულებს უფლება აქვთ უშუალოდ ან ამაზე რწმუნებულ პირთა მეშვეობით წარმოადგინონ სოციალური

უზრუნველყოფის საკითხებში რაეიანთი სახელმწიფოს მოქალაქენი შეთანხმების დამდები მეორე მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მართლოების და სხვა დაწესებულებების წინაშე.

### მუხლი 15

1. ამ შეთანხმების განხორციელების დროს შეთანხმების დამდები მხარეების სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები უკავშირდებიან ერთმანეთს თავიანთი ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, რომელთა სახელწოდებას შეთანხმების დამდები მხარეები ურთიერთ შეატყობინებენ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

2. საკითხები, რომლებიც ვერ გადაჭრეს ცენტრალურმა ორგანოებმა, გადაიჭრება დიპლომატიური გზით.

### მუხლი 16

შეთანხმების დამდები მხარეები ამ შეთანხმებას განახორციელებენ თავიანთი ქვეყნების პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

## განყოფილება მეოთხე

### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 17

1. ამ შეთანხმების შესაბამისად პენსიებისა და დახმარების დანიშვნას დროს კომპეტენტური ორგანოები მხედველობაში მიიღებენ შრომის სტაჟს, რომელიც შექმნილია ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე.

2. ამ შეთანხმების 5 მუხლის დებულებები ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა პენსიის უფლება წარმოიშვა ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე. მაგრამ პენსიების დანიშვნა და გადახდა მოხდება შეთანხმების დამდები იმ მხარის შესაბამისი კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს პირი, რომელმაც მიმართა პენსიისათვის.

3. პენსიები, რომლებიც შეთანხმების დამდები ერთი მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა დანიშნეს ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე და გადატანილ იქნა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შენარჩუნებულ იქნება და გადაიხდებიან შეთანხმების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს პენსიონერი.

#### მუხლი 18

1. ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მოხდება მოსკოვში.

2. შეთანხმება იდება ხუთი წლის ვადით, მისი მოქმედების ვადა ყველა შემთხვევაში გრძელდება მომდევნო ხუთი წლით, თუ შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარე არ გააუქმებს მას არა ნაკლებ ექვსი თვით ადრე ამ ვადის გასვლამდე.

3. ამ შეთანხმების დენონსაციის შემთხვევაში პენსიები, რომლებიც დანიშნულია და გაიცემა ამ შეთანხმების საფუძველზე, გაუთანაბრდება პენსიებთან, რომლებიც დანიშნულია შეთანხმების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს პენსიონერი.

ამ შეთანხმების დებულებათა თანახმად წარმოშობილი უფლებანი არ კარგავენ თავიანთ ძალას შეთანხმების დენონსაციის შემთხვევაში.

ეს შეთანხმება შედგენილია ბუქარესტში 1960 წლის 24 დეკემბერს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და რუმინულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების

კავშირის უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის რწმუნებით

ბ. ჩაპოტარინი.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის

დიდი ეროვნული კრების

პრეზიდიუმის რწმუნებით

მ. ბარლოჯა.

\* \* \*

რეატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 10 მაისს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ — 1961 წლის 20 ივნისს.

სარეატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1961 წლის 27 ივლისს.

მ ა მ ი

1960 წლის 24 დეკემბერს ბუქარესტში ხელმოწერილი შეთანხმების საბაზოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის შესახებ

ამ შეთანხმების ხელისმოწერის დროს შეთანხმების დამდები მხარეები შეთანხმდნენ ქვემოთმოყვანილზე:

I

### 1 მუხლის გამო

შეთანხმების დებულებები ვრცელდება აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის ყველა სახეობაზე, რომელიც ეძლევათ მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთ, აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც მსახურობდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში.

II

### 5 და 6 მუხლის გამო

შეთანხმების დამდებ მეორე მხარის ტერიტორიაზე პირის გადასახლებას 5 და 6 მუხლის მნიშვნელობით ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი გადასახლ-

და შეთანხმების დამდები ამ მხარის ტერიტორიაზე შეთანხმების დამდები ორივე მხარის სათანადო ორგანოების თანხმობით. იმ შემთხვევაში თუ პირი გადასახლდა ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, იგულისხმება, რომ არსებობდა თანხმობა ასეთ გადასახლებაზე, ვინაიდან გარემოებებიდან არ გამომდინარეობს საწინააღმდეგო.

### 17 მუხლის 8 პუნქტის გამო

1. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში შეთანხმების დამდები ორივე მხარე გადასცემს ერთმანეთს იმ პენსიონერთა სიებს, რომლებსაც შეთანხმების ძალაში შესვლამდე შეთანხმების დამდები ერთი მხარის სოციალური უზრუნველყოფის კომპეტენტური ორგანოების მიერ დანიშნული ჰქონდათ პენსიები და ეს პენსიები იგზავნებოდა შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე. შეთანხმების დამდები მხარეების სოციალური უზრუნველყოფის კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც უგზავნიან პენსიებს შეთანხმების დამდებ მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, პენსიონერთა სიების გაცვლის დღიდან მესამე კალენდარული თვის გასვლის შემდეგ შეწყვეტენ აღნიშნული პენსიების გადაგზავნას. შეთანხმების დამდები იმ მხარის სოციალური უზრუნველყოფის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ეს მოქალაქენი, დაწყებული მეოთხე კალენდარული თვიდან პენსიონერთა სიების გაცვლის დღის შემდეგ დაიწყებენ მათთვის პენსიების გაცემას ადრე დადგენილი ოდენობით, თუ პენსიების ოდენობა აღემატება იმ პენსიებს, რომელნიც შეიძლება დანიშნული ყოფილიყო შეთანხმების 5 მუხლის შესაბამისად. მაგრამ პენსიის ოდენობა არ უნდა იქნას იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო სახეობის პენსიის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტი და მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, რომელშიაც ცხოვრობს პენსიონერი.

2. შეთანხმების 9 მუხლის დებულებებს, რომელთა ძალით არ წარმოებს სოციალურ უზრუნველყოფის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ურთიერთანგარიშსწორება, ძალა აქვთ 1 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებშიც.

ეს ოქმი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს შეთანხმებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

შედგენილია ბუქარესტში 1960 წლის 24 დეკემბერს, ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და რუმინულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის რწმუნებით  
გ. ჩაბოტარიძე.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის  
დიდი ეროვნული კრების  
პრეზიდიუმის რწმუნებით  
მ. ზარლოჯა.



**348** სომხეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის  
სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის აღ-  
ბილებაში რეჟიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების  
შემსუბუქების არგამოყენების შესახებ

სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებას-  
თან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნება მიეცეს სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს  
მიანიჭოს სასამართლოებს უფლება სომხეთის სს რესპუბლიკის 1961 წლის 7  
მარტის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავში-  
რებით არ გამოიყენონ 1961 წლის 1 ივლისიდან სასჯელის ზომების შემსუბუ-  
ქება იმ პირთა მიმართ, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი და  
რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგინენ გამოსწორების გზას —  
ბოროტად არღვევენ რეჟიმს ან სისტემატურად არიდებენ თავს სამუშაოს, ან  
ეწვიან პარაზიტულ ცხოვრებას, თუ განაჩენები ამ პირთა მიმართ ძალაში შე-  
ვიდა 1961 წლის 1 ივლისამდე, ე. ი. სომხეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამარ-  
თლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ბიროზაჰე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 14 აგვისტო.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**349** მოლდავეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის  
სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის აღ-  
ბილებაში რეჟიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების  
შემსუბუქების არგამოყენების შესახებ

მოლდავეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინე-  
ბასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნება მიეცეს მოლდავეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზი-  
დიუმს მიანიჭოს სასამართლოებს უფლება მოლდავეთის სს რესპუბლიკის  
1961 წლის 24 მარტის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღე-  
ბასთან დაკავშირებით არ გამოიყენონ 1961 წლის 1 ივლისიდან სასჯელის ზო-  
მების შემსუბუქება იმ პირთა მიმართ, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ  
მისჯილი და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგინენ გამოსწორე-  
ბის გზას — ბოროტად არღვევენ რეჟიმს ან სისტემატურად არიდებენ თავს

სამუშაოს, ან ეწვევიან პარაზიტულ ცხოვრებას, თუ განაჩენები ამ პირთა მიმართ/  
ძალაში შევიდა 1961 წლის 1 ივლისამდე, ე. ი. მოლდავეთის სს რესპუბლიკის  
სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორბაქი.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**350** ამხ. ბ. ვ. ენიუტინის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელ-  
მწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დანიშნვის  
უხსახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. გიორგი ვასილის ძე ენიუტინი სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორბაქი.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 15 აგვისტო.

ბანყოფილება მიორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**351** საკავშირო სპეციალიზებული სამონტაჟო ტრანს-  
ელექტრომონტაჟის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების  
უხსახებ

რკინიგზების ელექტრიფიკაციის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის  
და მოსკოვ-დონბასის რკინიგზის მაგისტრალისა და მოსკოვის რკინიგზის კვან-  
ძის ელექტრულ წვევაზე გადაყვანის შესახებ დავალების წარმატებით შესრულე-  
ბისათვის საკავშირო სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტი „ტრანსელექტრო-  
მონტაჟი“ დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორბაქი.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 5 აგვისტო.



**352** ტრეხტ „მოსელექტროტიპგრაფიის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსკოვის რკინიგზის კვანძის ელექტრიფიკაციისა და განვითარების შესახებ დავალების წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი „მოსელექტროტიპგრაფი“ დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ჰიორბაჰე**.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**353** პაადამიკოს ბ. ს. სტეჩკინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

პიდროაერომექანიკისა და თბოტექნიკის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო აკადემიკოს ბორის სერგის ძე სტეჩკინს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ჰიორბაჰე**.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**354** რკინიგზების ელექტრიფიკაციის მონაწილე-მშენებელთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მოსკოვ-დონბასის რკინიგზის მაგისტრალისა და მოსკოვის რკინიგზის კვანძის ელექტრიფიკაციის დროს მიღწეული თვალსაჩინო საწარმოო წარმატებებისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“:

1. ივანე ტიხონის ძე **ჯაშინინს** — ტრესტ „ტრანსელექტრომონტაჟის“ № 701 ელექტროსამონტაჟო მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელს.
2. ლეონიდ ნიკოლოზის ძე **მოლჩანოვს** — ტრესტ „მოსელექტროტიპგრაფის“ ამწეს მემანქანეს.

3. ლეონიდ ვასილის ძე ორეხოვსკის — ტრესტ „ტრანსელექტრომონტაჟის“ № 703 ელექტროსამონტაჟო მატარებლის ელექტრომონტიორთა გარეგანი განყოფილების ვადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ზიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 355 საბჭოთა მფრინავი-კოსმონავთ მაიორ გ. ს. ტიტოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთ—2“-ით კოსმოსში შესანიშნავი ფრენის განხორციელებისათვის მფრინავ-კოსმონავტს მაიორ გერმანე სტეფანეს ძე ტიტოვს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ზიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 356 მფრინავ მაიორ გ. ს. ტიტოვისათვის „სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის“ წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთ—2“-ით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს „სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის“ წოდება საბჭოთა კავშირის მოქალაქეს მფრინავს მაიორ გერმანე სტეფანეს ძე ტიტოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ზიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 357 სსრ კავშირის მცენიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. მ. შირშინსკის შრომის წითელი ღრუობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და ფილოლოგიურ მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის

წევრ-კორესპონდენტი ვიქტორ მაქსიმეს ძე შირმუნსკი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**358** საჭარტიველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებიანთა „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭეთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. კარდენ რაშოს ასულ ასლანოვას — დიასახლისს, ქ. თბილისის კიროვის რაიონი.

2. ანა ანდრიას ასულ მიშველიძეს — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზესტაფონის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**359** საბჭოთა არმიის მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედალებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. უფროსი ლეიტენანტი სერგი პეტრეს ძე ბარანცევი.
2. ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ვილი იაკობის ძე ბახიძე.
3. სერჟანტი ნიკოლოზ პავლეს ძე ზოკუღევი.
4. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ვიქტორ ივანეს ძე დემიდოვი.
5. კაპიტანი კარლ იაკობის ძე ზალევსკი.
6. ლეიტენანტი ივანე პავლეს ძე კირტოვი.
7. კაპიტანი დიმიტრი ივანეს ძე კოლესნიკოვი.
8. უფროსი ლეიტენანტი მიხეილ დიმიტრის ძე კურიცინი.
9. უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ივანეს ძე მიხაილოვი.
10. უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ივანეს ძე შჩერბა.

## მედლით „მამაცობისათვის“

1. უფროსი სერჟანტი ვლადიმერ ალექსის ძე ბარანოვი.
2. რიგითი ალექსი ივანეს ძე ერიომინი.
3. უმცროსი სერჟანტი ლეონიდე სერგის ძე კარავაევი.
4. სერჟანტი ლეონიდე მიხეილის ძე კრიშევიჩი.
5. უმცროსი სერჟანტი გენადი ბორისის ძე კუზნეცოვი.
6. რიგითი ნიკოლოზ პავლეს ძე რევაიკინი.
7. კაპიტანი იური სერგის ძე სმირნოვი.
8. სერჟანტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სოროკინი.
9. სერჟანტი დიმიტრი ვასილის ძე ჩერნია.
10. უფროსი სერჟანტი ალექსი გრიგოლის ძე შერშნევი.

## მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

1. სერჟანტი ანატოლ ივანეს ძე შაგაზეევი.
2. რიგითი ბოლესლავ ვასილის ძე ნაიდიუკი.
3. რიგითი ლეონიდე ნიკოლოზის ძე პანცევიჩი.
4. უმცროსი სერჟანტი ალექსანდრე გაბრიელის ძე პლუგოტარიოვი.
5. რიგითი ვიქტორ ალექსის ძე როდიონოვი.
6. რიგითი ვასილ თევდორეს ძე სტიპანი.
7. რიგითი ალექსანდრე ვასილის ძე ტრუბიციანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## **360** მხატვარ ა. მ. გერასიმოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ოთხმოცი წლისთავის გამო და საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის სახალხო მხატვარ ალექსანდრე მიხეილის ძე გერასიმოვი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 12 აგვისტო.



**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

მოსკოვ-დონბასის რკინიგზის მაგისტრალისა და მოსკოვის რკინიგზის კვანძის ელექტრიფიკაციის შესახებ დავალების წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების 397 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „მოსელექტროტიავსტროის“ № 220 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მეგეტონეთა ბრიგადირი ს. ი. ბერდაშკოვი, ტრესტ „ტრანსელექტრომონტაჟის“ № 703 ელექტროსამონტაჟო მატარებლის უფროსი გ. გ. გუიუმჯიბაშიანი, ტრესტ „ტრანსელექტრომონტაჟის“ ლიუბერეცის მექანიკური ქარხნის გაწვემდუღებელი ი. თ. კანდალა, სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სპეცსეტსტროის“ სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი დ. ა. მურალიოვი, ტრესტ „ტრანსსიგნალსტროის“ ხარკოვის სამშენებლო უბნის უფროსი ი. ე. პეტრენკო, ტრესტ „ტრანსელექტრომონტაჟის“ № 707 ელექტროსამონტაჟო მატარებლის მემონტაჟეთა ბრიგადირი ნ. ს. პოდელშჩიკოვი, ტრესტ „ტრანსელექტრომონტაჟის“ № 701 ელექტროსამონტაჟო მატარებლის უფროსი მ. ს. რებროვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 30 კაცი, „საპატიონიშნის“ ორდენით — 99; მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 130 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 131 კაცი.


**საპარტველო სსრ კანონები, საპარტველო სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საპარტველო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები**

**ბანუოფილეზა პირველი**

ბრძანებულება საპარტველო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**361** საპარტველო სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის საპარტველო სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საპარტველო სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (საპარტველო სსრ სახელმწიფო კონტროლი) გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 ივლისის ბრძანებულების „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — სსრ კავშირის მი-



ნისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლი) გარდაქმნის შესახებ“ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა სახალხო-სამეურნეო ამოცანები და საჭიროა გაძლიერდეს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება თავიდან ბოლომდე, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია გარდაიქმნას საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლი).

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას დაეკისროს: შეამოწმოს მთავრობის სახელით სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მთავრობის გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის დაცვა ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვასა და მათ შენახვაში; შეამოწმოს როგორ სრულდება საერთო საკავშირო ფონდში მასალების, მოწყობილობის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მიწოდებისა და სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავრობის მიერ დაწესებული გეგმები; კონტროლი გაუწიოს აღრიცხვისა და სახელმწიფო ანგარიშგების მდგომარეობას; აღმოფხვრას წამატებანი სახელმწიფო ანგარიშგებაში, მოტყუება და თვალის ახვევა, აგრეთვე აწარმოოს ბრძოლა კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ; შეამოწმოს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა მმართველობის სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის და ამ აპარატის შესანახავი ხარჯების შემცირებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია და მისი ორგანოები ადგილებზე თავიანთ მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში, ეყრდნობიან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საზოგადოებრივ კონტროლს, ფართოდ აბამენ შემოწმებაში მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და დაამტკიცოს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწინიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ზელდიაშვილი**.

**362** ამხ. ე. მ. ჯაფარიძის საპარტიველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დანიშნის  
შესახებ

დაინიშნოს ამხ. ერმალოზ მინას ძე ჯაფარიძე საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 14 აგვისტო.

**363** საპარტიველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერ-  
რო-ტექნიკური კომიტეტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერ-  
რო-ტექნიკური კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 14 აგვისტო.

**364** საპარტიველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით  
სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის უქმის  
შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სა-  
მუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 14 აგვისტო.





**365** ამხ. ბ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნვის შესახებ

დანიშნოს ამხ. გივი შალვას ძე მიქელაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 14 აგვისტო.

**366** საქართველოს სსრ ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გაერთიანდეს საქართველოს სსრ ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონები ერთ — ახალციხის რაიონად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 აგვისტო.

**367** საქართველოს სსრ ახალქალაქის და გოგდანოვკის რაიონების გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გაერთიანდეს საქართველოს სსრ ახალქალაქისა და გოგდანოვკის რაიონები ერთ — ახალქალაქის რაიონად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 აგვისტო.

**368** ამხ. ი. ი. ღარიბაშვილის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. ივანე იოსების ძე ღარიბაშვილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწანიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**369** ამხ. ო. ა. ჭავჭავაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ოთარ ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწანიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**370** ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწანიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 აგვისტო.

**371** ამხ. თ. პ. ბუაჩიძის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
დაინიშნოს ამხ. თენგიზ პავლეს ძე ბუაჩიძე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**,  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბაღდავაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 აგვისტო.

**ბანყოფილება მეორე**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**372** საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ-  
ლი მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზკულტურის დღესთან დაკავშირებით და რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. ალექსანდრე ისიდორეს ძე აბუჩანიძეს — ნებაყოფლობითი სპორტულა საზოგადოების „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს

2. შოთა ნიკოლოზის ძე ახვლედიანს — საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის განყოფილების გამგის მოადგილეს

3. მიხეილ ანფიმის ძე გორგაძეს — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

4. ლევ ვასილის ძე გოლოვნიას — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

5. მზია ალექსანდრეს ასულ ერისთავს — საქართველოს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგურის დირექტორს

6. გიორგი ბაგრატიის ძე ჩიკვაძეს — საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორს

7. მიხეილ ზაქარიას ძე ცხვედაძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**,  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბაღდავაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 11 აგვისტო.



**373** საპარტიო ცენტრის სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მიანიჭების შესახებ

მშენებლის დღესთან დაკავშირებით და ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. შალვა ალექსანდრეს ძე ახმეტელს — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს განყოფილების გამგეს

2. მიხეილ ლეონის ძე ბალავაძეს — ტრესტ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის საბინაო მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს

3. უჩა სერგის ძე ბაქრაძეს — ქალ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილეს

4. ვლადიმერ გაბრიელის ძე გელაშვილს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“-სთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსს

5. ალექსანდრე პარტენის ძე გოთუას — ტრესტ „საქსოფლტექნიკომშენის“ თბილისის კანტორის დირექტორს

6. ბორის ივანეს ძე გოლუბკოვს — „მთავართბილმშენის“ თბილისანტექმონტაჟის სამმართველოს უფროსს

7. გრიგოლ ვიქტორის ძე ვაშაკიძეს — ტრესტ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველო „მეტალურგმშენის“ მთავარ ინჟინერს

8. კონსტანტინე დავითის ძე თულაშვილს — ტრესტ „სამგორწყალმშენის“ № 5 სამშენებლო სამმართველოს უფროსს

9. შოთა სიმონის ძე კობახიძეს — საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს

10. მოსე ბორისის ძე ლიპკინს — საპროექტო ინსტიტუტის „სოფლმშენსახპროექტის“ განყოფილების გამგეს

11. ერმალოზ ივანეს ძე შამუღიას — „თბილგვირაბმშენის“ მთავარ მარკუშეიდერს

